ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი

15 აპრილი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კონსტანტინე ქავთარაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ირაკლი ავალიანი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
მალხაზ ბასილაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში ცაცხვების ქუჩის მე-2 შესახვევის, შალვა ნუცუბიძის ქუჩის და ევდოშვილის მე-4 შესახვევის გზის ჩამკეტწახნაგიანი ბეტონის დეკორატიული ფილებით, ტროტუარებით, ბორდიურებით, შ.შ.მ. პირებისათვის პანდუსებით და ღვარსადენი სისტემებით მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 2000 (ორი ათასი) ლარი) პროექტის შედგენის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – ქალაქ ქუთაისში ცაცხვების ქუჩის მე-2 შესახვევის, შალვა ნუცუბიძის ქუჩის და ევდოშვილის მე-4 შესახვევის გზის ჩამკეტწახნაგიანი ბეტონის დეკორატიული ფილებით, ტროტუარებით, ბორდიურებით, შ.შ.მ. პირებისათვის პანდუსებით და ღვარსადენი სისტემებით მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 2000 (ორი ათასი) ლარი) შედგენის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კონსტანტინე ქავთარაძემ.
კომისიის წევრებმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში ცაცხვების ქუჩის მე-2 შესახვევის, შალვა ნუცუბიძის ქუჩის და ევდოშვილის მე-4 შესახვევის გზის ჩამკეტწახნაგიანი ბეტონის დეკორატიული ფილებით, ტროტუარებით, ბორდიურებით, შ.შ.მ. პირებისათვის პანდუსებით და ღვარსადენი სისტემებით მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2. კონკურსი ჩატარდეს 2015 წლის 24 აპრილს 12:00 საათზე.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 24 აპრილის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.
4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ. ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).
5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე